

## ვადაჭკორია ზურაბ ივანეს ძე

**ვადაჭკორია** ზურაბ ივანეს ძე (დ. 24.II. 1961, თბილისი), მსახიობი, ილუმინისტი. დაამთავრა საქართველოს საცირკო-საესტრადო ხელოვნების სახელმწ. სასწავლებელი (1986). 1981-91 იყო საქართველო ფილარმონიის ორიგინ. ჟანრის მსახიობ-ილუმინისტი. ვ-მ პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა საქართველოში საილუმბო ხელოვნების კულტურა. 1991-იდან არის ნ. დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა თეატრის კონსულტანტი. 1986 ჩამოაყალიბა საქართველო ილუმინისტთა კლუბი და არჩეულ იქნა მის პრეზიდენტად. 1988 მოსკოვის ილუმინისტთა ფესტი-ვალის კონკურსზე “ჯადოსნური აღლუმი-88” გახდა პირველი ადგილის მფლობელი “საერთო მაგიაში”. 1992 თბილისში შექმნა საილუმბო შოუ-სპექტაკლი “მაგიური შოუ”. 1981-იდან არის მოს-კოვის ილუმინისტთა კლუბის წევრი. 1991-იდან განწვრიანდა აშშ-ის საერთაშ. ილუმინისტთა საძმოში, 2004-იდან – ქ. ბრნოს (ჩეხეთი) ილუმინისტთა კლუბში. გასტროლებზე იმყოფებოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. გამოქვეყნებული აქვს 4 წიგნი, რ-ებიც ეძღვნება საილუმბო ხელოვნების შესწავლას. არის მრავალი ფოკუსის ავტორი და ახალგაზრდა, დამწყებ ილუმინისტთა აღმზრდელი. 2007 შეიქმნა დსთ-ის ქვეყნებში პირველი საფოსტო მარკა “ქართული საილუმბო ხელოვნება” ვ-ს სილუეტით. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

---